

აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობა

შალამბერიძე მანანა – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ახალაძე ზეინაბი – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Competitiveness of the Indigenous Sector

Shalamberidze Manana – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Akhaladze Zeinabi – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: The agricultural sector in Georgia is relatively weakly developed and has significant structural flaws. Therefore, it is less competitive and does not create favorable opportunities for employment and entrepreneurship development for the local population. Industrial capital in this field is only necessary for existence and is mainly aimed at domestic consumption rather than commercial purposes. In the farming farms the stock of unused natural resources, which can be used to promote agriculture, as well as economic growth of the country.

The aim of the research is to create an environment in the farming sector of the agrarian sector, which will contribute to enhancing competitiveness in the agricultural sector, stable growth of high quality products, food security, food safety and rural poverty reduction.

Research methodology: Research in Agro enterprises, with farmers and farmer entrepreneurs.

Results and implications: The utilization and utilization of agrarian sector potential will be vital for the economy of the country. That is why the first guarantee of positive results is clearly defined, developing agricultural policies directed towards competitive production and promoting financial resources in this sector of economy.

Conclusion: In order to increase the competitiveness of the agrarian sector, it is necessary to elaborate a specific plan by the state and interested in farmers' entrepreneurship with various benefits and support which will give him motivation to revive and revive production in this sector.

Keywords: agrarian sector, agro sector, agrogroceries, competitiveness.

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: საქართველოში აგრარული სექტორი შედარებით სუსტად არის განვითარებული და მას მნიშვნელოვანი სტრუქტურული ხარვეზები გააჩნია. აქედან გამომდინარე, იგი ნაკლებად კონკურენტუნარიანია და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ვერ ქმნის დასაქმებისა და მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ შესაძლებლობებს. ამ სფეროში არსებული საწარმოო კაპიტალი მხოლოდ არსებობის აუცილებლობისთვისაა საკმარისი და იგი ძირითადად მიმართულია შიდა მოხმარებაზე, ვიდრე კომერციული მიზნებისთვის. ფერმერულ მეურნეობაში შეინიშნება წარმოების გამოუყენებელი ბუნებრივი რესურსების მარაგი, რომელთა გამოყენებაც ხელს შეუწყობდა როგორც სოფლის მეურნეობის განვითარებას, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას.

კვლევის მიზანს წარმოადგენს აგრარული სექტორის ფერმერულ მეურნეობებში ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევები აგროსაწარმოებში, ფერმერულ მეურნეობებში და ფერმერ მეწარმეებთან.

შედეგები: აგრარული სექტორის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება, ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ

მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა.

დასკვნა: აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული გეგმის შემუშავება და ფერმერ მეწარმეთა დაინტერესება სხვადასხვა შეღავათებითა და მხარდაჭერით რაც მას მისცემს მოტივაციას ამ დარგში თანხის დაბანდებისა და წარმოების აღორძინებისათვის.

საკვანძო სიტყვები: აგრარული სექტორი, აგროსასურსათო სექტორი, კონკურენტუნარიანობა.

საქართველოს აგრარულ სექტორს განვითარების და კონკურენტუნარიანობის გაზრდის დიდი პოტენციალი გააჩნია, მისი შემდგომი განვითარება დაფუძნებულია ფერმერულ მეურნეობაზე. ფერმერული მეურნეობა ეკონომიკურად დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულია, რომელიც ბაზრის მოთხოვნა - მიწოდების გათვალისწინებით და თავისი შეხედულებებით განსაზღვრავს მეურნეობის სპეციალიზაციას, წარმოების მოცულობას, პროდუქციის სახეობას, მის რეალიზაციას. კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევით, განვითარების იმ პერსპექტივების გათვალისწინებას, რომლებიც ქვეყანას გააჩნია. კერძოდ აგრარული სფეროს წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რესურსების ეფექტურ გამოყენებას. რადგან ფერმერების ხელში იმყოფება მიწის, კაპიტალის, ფულადი და ადამიანური რესურსების გარკვეული, ზღვრული რაოდენობა, მარაგი. რესურსების შეზღუდულობით გამოირჩევიან მომხმარებლებიც და მწარმოებლებიც. ამიტომ, მათ წინაშე ყოველთვის დგება ეკონომიკური არჩევანის პრობლემა, მუდმივად წარმოიქმნება ალტერნატიული არჩევანის შესაძლებლობა. ამიტომ ფერმერების წარმატება დამოკიდებულია შეზღუდული რესურსების პირობებში სწორი არჩევანის გაკეთებაზე. შეზღუდულ რესურსებთან ერთად, საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი საფუძველია კონკურენცია. კონკურენციული გარემო ხდება მოტივატორი მომხმარებლების მიერ გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით. სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენციის სამი შესაძლებელი ვარიანტი:

1. კონკურენცია და ფასები;
2. კონკურენცია, ხარისხი და სერვისი;
3. კონკურენცია და ინოვაციები.

დღესდღეობით მძაფრი კონკურენციის პირობებში სიცოცხლისუნარიანია ის ფერმერი-მეწარმე, რომლის ძირითადი ამოცანაა წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს პროდუქციის მახასიათებელთა (ხარისხი, ფასი, სერვისი) მთლიანობას, რაც განაპირობებს საქონლის უპირატესობას ბაზარზე და მის წარმატებულ გასაღებას კონკურენციის პირობებში. პროდუქციის ხარისხში იგულისხმება პროდუქციის თვისებათა ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს მის ვარგისიანობას დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნილება მისი დანიშნულებიდან გამომდინარე. პროდუქციის ხარისხი განისაზღვრება მაჩვენებელთა სისტემით, რომლებიც მეტწილად სპეციფიკურია პროდუქციის სახეობის მიხედვით განსაზღვრავს ბაზრის მოთხოვნებს, აწარმოებს კონკურენტუნარიან პროდუქციას, ითვალისწინებს შესაძლო რისკებს. კონკურენციის შესახებ ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ აგროსასურსათო სექტორში ყველაზე რთულია კონკურენციის გაწევა – ფერმერთა 66.7%-ს უჭირს კონკურენტებთან ბრძოლა. აღნიშნულის ძირითადი მიზეზია აგროსასურსათო პროდუქტებისა და აგრარული

სექტორის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე, რაც, ასევე, ართულებს განვითარების უზრუნველყოფას. არსებული ბაზარები გაჯერებულია მოსახლეობის მიერ მოხმარებული იმპორტული სურსათის 70%-ით. ეხლა განვიხილოთ ცხრილი 2014-2016 წლებში სოფლის მეურნეობის მიერ პროდუქციის რა რაოდენობა იქნა გამოშვებული.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

ცხრილი 1

		2014	2015	2016
1	სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება სულ	3387.5	3667.4	3942.1
2	მემცენარეობა	1613.4	1689.6	1498.3
3	მეცხოველეობა	1613.4	1784.1	2195.1
4	სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	160.7	193.6	248.8

როგორც ჩვენს მიერ მოპოვებული და გაანგარიშებული მონაცემებიდან ჩანს 2016 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება წინა წლებთან შედარებით გაიზარდა, კერძოდ 2014 წელთან შედარებით 16 პროცენტით, ხოლო 2015 წელთან შედარებით 7 პროცენტით და საქართველოდან ექსპორტირებულია 825,9 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების აგრო სასურსათო პროდუქცია, (ძირითადად თხილი და ღვინო) ხოლო იმპორტირებულია 1,3 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების აგრო სასურსათო პროდუქცია (ძირითადად ხორბალი, თამბაქო). როგორც ვხედავთ, იმპორტი 36,5%-ით აღემატება ექსპორტს ამავე წლის მონაცემებით სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 7,0 %-ია, რომელიც კარგად ჩანს #2 ცხრილში.

მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა (პროცენტობით)

ცხრილი 2

		2014	2015	2016
1	სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, ნადირობა და თევზჭერა	9.3	9.2	9.3
2	მრეწველობა	16.9	16.5	17.1
3	მშენებლობა	7.1	8.0	8.3
4	ვაჭრობა	17.5	16.6	16.3
5	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	10.4	10.7	10.1
6	სხვა	38.8	39.0	38.9

მსოფლიო ბაზარზე დღითიდღე იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე. ამიტომ ფერმერ-მეწარმეს უნდა შეეძლოს ბაზარზე შეღწევის, მისი გაფართოების ან შენარჩუნების სტრატეგიის შემუშავება. მან უნდა განჭვრიტოს მოთხოვნა ახალ საქონელსა და მომსახურებაზე, პერიოდულად გარდაქმნას საქმიანობა მომხმარებელთა ცვალებადი მოთხოვნილებების შესაბამისად. ბაზრის სეგმენტების ანალიზიდან გამომდინარე უნდა გააფართოოს წარმოება და მიწოდება იქ, სადაც ყველაზე დიდი რაოდენობით არის მოსალოდნელი მოთხოვნა და დასაშვებად მიიჩნეონ ბაზარზე სურსათის იმპორტი 15-20%-ის ფარგლებში. ამ პირობებში არც ეკონომიკური სარგებლის მიღების შანსი დიკარგება და არც კონკურენცია დასუსტდება ადგილობრივ საქონელმწარმოებელთა შორის. ამასთან, საფრთხე არ დაემუქრება არც ეკონომიკურ და არც სასურსათო დამოუკიდებლობას.

კონკურენტუნარიანი აგრარული დარგების განვითარება ლოგიკურად იწვევს სასურსათო ბაზრების ფორმირებას. სასურსათო საქონლის ბაზარზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება იმის დადგენა, თუ ბაზრის რომელ სტრუქტურას გააჩნია პოტენციალი, როგორია ბაზრის ტევადობა, ბაზარზე შესვლის ბარიერები, რომელ სტრუქტურებში შესვლა არის დაკავშირებული ნაკლებ დანახარჯებთან და ა. შ. ბოლო წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოება რეალურად არასოდეს ყოფილა გარე ბაზარზე ორიენტირებული. რადგან, პოტენციურად მომგებიანი საექსპორტო პროდუქციის საწარმოებლად დღესდღეობით არსებული ფერმერული მეურნეობები საჭიროებენ ახალ მიდგომებს, რათა ფერმერ-მეწარმეებს გაუადვილდეთ საერთაშორისო ბაზარზე შესვლა.

სოფლის მეურნეობაში გატარებული რეფორმები არ აღმოჩნდა საკმარისი აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობის და, ეკონომიკური ზრდისათვის, რადგან მისი საექსპორტო პოტენციალი კვლავ დაბალია. სუსტია ახალ ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მაჩვენებლები. ასევე, ამის შედეგია დასაქმების ზრდის ძალზე დაბალი ტემპი. რისთვისაც აუცილებელია აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული გეგმის შემუშავება და ფერმერ მეწარმეთა დაინტერესება სხვადასხვა შეღავათებითა და მხარდაჭერით რაც მას მისცემს მოტივაციას ამ დარგში თანხის დაბანდებისა და წარმოების აღორძინებისათვის.

ლიტერატურა:

1. ხარაიშვილი. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. თბილისი 2011
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობა 2016 ; http://www.geostat.ge/?action=page&p_id=244&lang=geo
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. 2015-2020 . საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; <http://www.moa.gov.ge>
4. ფერმერთა პირადი გამოკითხვები.